# ქუჯი

„... და მაშინ
განიხარებს ყოველი
ქართველი“

№31. 19 დეკემბერი 2001 წელი – 6 იანვარი 2002 წელი

ფასი 40 თეთრი


## ინფორმაცია

### საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის მორიგი სხდომის შესახებ

2001 წლის 15 დეკემბერს ქალაქ თბილისში ჩატარდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის მორიგი სხდომა.

დღის წესრიგში შეტანილი იყო შემდეგი საკითხები:

1. 1991-93 წწ. სამხედრო-სახელმწიფო გადატრიალება
2. 1991-93 წწ. სამხედრო-სახელმწიფო გადატრიალების ტექნოლოგია (დეპუტუტი შ. აზხიანიძე)
3. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება 1991-93 წწ. სამხედრო-სახელმწიფო გადატრიალებისა და უკანონო რეჟიმის პასუხისმგებლობის შესახებ (საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ფხალაძე)
4. სხვადასხვა

...მალტის გარიგებით შეგულიანებულმა რუსეთმა 1991 წლის ბოლოს საქართველოში მოაწყო პუტჩი და საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა სისხლში ჩაახშო; ამასთანავე წაგვართა აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი და ხელისუფლება ჩააბარა მძარცველთა ხროვას...

ათი წელია საქართველო განუკითხაობის უდაბნოში ბორიალობს; ათი წელია პარტახდება ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ხალხის სულიერება, ცნობიერება და ეკონომიკა; ათი წელია ძალაუფლეწართმეულ ხელისუფლება იბრძვის საქართველოში სამართლიანობის, დემოკრატიისა და რეალური სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის; ათი წელია იდევნებიან კანონიერი ხელისუფლების აქტიური მხარდამჭერნი...

...მალე აღდგება კანონიერი ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობა და, შესაბამისად, მალე დადგება ფეხზე საქართველო! გვ. 2

## 1991 წლის 22 დეკემბერს რუსეთის იმპერიის მიერ დაიწყო შეიარაღებული შეტევა დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ!.. 10 წელია გრძელდება ორხელისუფლებიანობა საქართველოში!



### გაუტეხლობა-დაუმორჩილებლობის მატიანე

გვ. 3

### პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას 1992 წლის 14 იანვრის მიმართვა ქართველი ერისადმი

გვ.4

### ურმის გადაბრუნებამდეც გზა კარგად ჩანდა!

გვ.4

### მასალები სიმართლისათვის წამებული პიროვნებების შესახებ

გვ.5

### წმიდა გაბრიელ ქიქოძე ახალი წლისათვის

გვ.6

ცისია გოგოლაძე: იქ, ჩეჩნეთში მივხვდით, თუ რატომ არ სჯერა ქართველ ხალხს ზვიადის სიკვდილის... გვ.6

ბადრი ფხალაძე: ქართველი ერისა და საქართველოს მოსახლეობის უამრავი ფორმით გენოციდის მიუხედავად, რომელსაც ახორციელებს შევარდნაძის უკანონო რეჟიმი, ქართველი ერი და საქართველო გადარჩება და აღორძინდება. გვ.7

### როგორ «ჩაუშვა» ჭაბუა ამირეჯიბმა ალეკო მელაძე

გვ.7

# გამოსავალი ერთია: კანონიერი ხელისუფლების აღდგენა

ათი წელია დევნილია საყოველთაო და დემოკრატიული არჩევნებით არჩეული საქართველოს კანონიერი ხელისუფლება, პრეზიდენტი, უზენაესი საბჭო, თვითმმართველობის ორგანოები.



ეს უპრეცედენტო შემთხვევაა მრავალსაუკუნოვანი მსოფლიოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. მეათე წელია მძვინვარებს რეაქცია, ტერორი.

ხალხის რჩეულებს აპატიმრებენ, სწამებენ ცილს, უსპობენ პოლიტიკური მოღვაწეობის ელემენტარულ პირობებს, უკრძალავენ აზრის თავისუფალ გამოხატვას, ურთიერთობას ხალხთან.

საქართველოში ხალხის მიერ არჩეული კანონიერი ხელისუფლების იარაღის ძალით დამხობას და მის შემდგომ განვითარებულ მოვლენებს, რომელთაც ქვეყანა კატასტროფამდე მიიყვანეს, მოჰყვა ცრუ დემოკრატიული მოძრაობის გააქტიურება. აღნიშნული მოძრაობის წარმომადგენლები თავიანთი ყალბი „ოპოზიციური" გამოსვლებით ცდილობენ დღევანდელ უკანონო ხელისუფლებას მოჩვენებითი დემოკრატიული ფონი შეუქმნან და დაფარონ სინამდვილეში მასთან არსებული ალიანსი.



მაგრამ ხალხი, ეროვნული ხელისუფლება და ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა (რომლის ლიდერიცაა მანანა არჩვაძე-გამსახურდია), ერთიანია! ხალხი კვლავ იმედით და რწმენით შეჰყურებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს და საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალ მაგიდას, რამდენადაც მათ ბოლომდე უერთგულეს ქვეყანას, არ დაჰყვნენ იმპერიულ ძალთა და მათ ადგილობრივ ემისართა ნებას - არ გამოაცხადეს თვითდაშლა, არ უღალატეს ზვიად გამსახურდიას - სიმბოლოს ქვეყნის დამოუკიდებლობისა...

და კანონიერი ხელისუფლება კვლავ იმედით და რწმენით შეჰყურებს ხალხს, რომელიც არ დაემონა შევარდნაძის დამსჯელ რაზმებს, არ დაჰყვა მანქურთების ნეოკომუნისტურ პროპაგანდას და ისევ გმირული შემართებით იბრძვის თავისუფლებისათვის.

დიახ, ქართველი ხალხი და კანონიერი ეროვნული ხელისუფლება ერთიანია... ეს ერთობა მოგვიტანს საბოლოო გამარჯვებას, ეს ერთობა გაგვიყვანს ჩიხიდან, რომელშიც აგერ უკვე ათი წელია საქართველოს აჩერებს შევარდნაძე და მის მიერ შეკოწიწებული ბანდა, რომელიც, რატომღაც, ხელისუფლებას ეძახის თავის თავს.

ქართველი ერი მიესალმება კანონიერი ხელისუფლების მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, ხანგრძლივი დევნილობის, მოსალოდნელი რეპრესიების მიუხედავად ჩატარებულ მის სესიებს და იმედოვნებს, რომ მალე დადგება დრო, როცა აღდგება კანონიერება, გაიმარჯვებს სიმართლე - და მაშინ განიხარონ ყოველთა ქართველთა.

*გაზეთი „ქუჯის" რედაქცია*

# ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღმასვლა, პუტჩი და ჩვენი მომავალი

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით მე-20 საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში შეძლო საბჭოთა იმპერიის ადგილობრივი მარიონეტული რეჟიმის დამარცხება საყოველთაო დემოკრატიული მრავალპარტიული და არასაბჭოური არჩევნების მომზადებითა და ჩატარებით; კომუნისტების ხელით განხორციელებული რუსული 70-წლიანი მმართველობა უსისხლოდ იქნა დამხობილი ეროვნული მოძრაობის ლიდერისა და ქართველი ხალხის გონიერებით.

საქართველოს ეროვნულმა ხელისუფლებამ 1991 წლის 9 აპრილს გამოაცხადა საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა და გამოვიდა სსრ კავშირის შემადგენლობიდან, რითაც იურიდიულად და ფაქტობრივად დაიწყო კომუნისტური იმპერიის რღვევა. სამწუხაროდ, იმ პერიოდში დასავლეთისა და რუსეთის (სსრ კავშირის) ხელმძღვანელობას შორის არსებული გარიგების მიხედვით (მალტის გარიგება!) რუსეთმა დათმო მხოლოდ, აღმოსავლეთ ევროპა ბალტიისპირეთითურთ, ამდენად საქართველო, უკრაინა და ყოფილი სხვა საბჭოთა რესპუბლიკები, მიუხედავად დამოუკიდებლობის გამოცხადებისა, დასავლეთმა მაინც „რუსულ ველში" დატოვა, შესაბამისად საქართველოს, აზერბაიჯანს, უკრაინას და სხვებს დასავლეთმა შესთავაზა რუსეთის მოდერნიზებულ იმპერიაში - დსთ-ში შესვლა. საქართველომ და აზერბაიჯანმა გააგრძელეს ბრძოლა დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის (დიბებას მხოლოდ მკვდარი თევზები მიჰყვებიან - განაცხადა მაშინ ზვიად გამსახურდიამ).



რუსეთის იმპერიამ გაიმეორა 1921 წელს უკვე გამოცდილი მზაკვრული გეგმა და იარაღის ძალით დაამხო საქართველოს კანონიერი ხელისუფლება (პრეზიდენტი, პარლამენტი, სასამართლო ხელისუფლება და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები), ხოლო აზერბაიჯანში განხორციელდა პრეზიდენტ ელჩიბეის მმართველობის ლიკვიდაცია. რუსეთმა ასევე დასავლეთის წაყრუებით მიწასთან გაასწორა დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ჩეჩენი ხალხი.

რუსეთის იმპერიამ საქართველოში პუტჩის მოსაწყობად გამოიყენა ადგილობრივი კრიმინალები და ჩრდილოვანი ეკონომიკის მესვეურნი - კომუნისტი საქმოსნები. პუტჩის შემდეგ სწორედ მათ ჩააბარა ძალაუფლება.

რუსეთის დახმარებით ხელისუფლებაში მოსულმა „ძალამ" ძალაუფლების სანაცვლოდ იმპერიის საოკუპაციო ჯარს მიანიჭა მეგობარი ქვეყნის ჯარის სტატუსი, რუსეთს ფაქტობრივად გადასცა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ტერიტორიები და საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის მართვის სადავეები. შესაბამისად, განახორციელეს ამ ყოველივე ანტიქართული აქციების მოწინააღმდეგე საქართველოს მოსახლეობის ფართომასშტაბიანი გენოციდი; დაიშალა სახელმწიფო სტრუქტურები...

1992 წლიდან დღემდე საქართველოს ფაქტობრივად მართავს სამართლებრივი წარსულის არმქონე უკანონო რეჟიმი, რომლის პირადი შემადგენლობა ნაწილობრივ გადახალისდება ხოლმე ე.წ. ცრუ არჩევნებით, მაგრამ უცვლელი რჩება მათი ძირითადი ბირთვისა და აგრეთვე, მეთაურის ედუარდ შევარდნაძის, ანტიქართულსახელმწიფოებრივი არსი.

დასავლეთს ჯერჯერობით არ სურს აღიაროს, რომ მალტის ანტიჰუმანური გარიგებით ხელი შეუწყო საქართველოში დემოკრატიისა და თავისუფლების უფლების ნგრევას, დაუჭირა რა მხარი ანტისახელმწიფოებრივი და კრიმინალური ძალების აღზევებას საქართველოს მოსახლეობაზე („გენშერის ძაღლები!"); არადა საქართველოსა თუ კავკასიაში არსებული არასტაბილური ვითარება და კლანური ოლიგარქიების რეგიონალური პარპაში მანამ გაგრძელდება, სანამ დასავლეთისა და აღმოსავლეთის ცივილიზებული სახელმწიფოები მხარს არ დაუჭერენ საქართველოს დევნილი კანონიერი ხელისუფლების - საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს, სამართალმემკვიდრეობის რეალურ აღდგენას და მის საფუძველზე მომზადებული საყოველთაო არჩევნების ჩატარებას. მხოლოდ ამის შემდეგ არის შესაძლებელი სამართლიანობის, დემოკრატიისა და დამოუკიდებლობის აღდგენა საქართველოში...

ქვეყანა სხვისი დახმარების იმედად არ უნდა არსებობდეს!

საქართველოს მოსახლეობამ უნდა გააცნობიეროს, რომ სახელმწიფო ხალხისაა და არა რომელიმე მთავრობის, მითუმეტეს პუტჩისტური, უკანონო რეჟიმისა! თავად ხალხი უნდა გააქტიურდეს, რათა ხელისუფლებიდან უსისხლოდ წავიდეს არსებული შევარდნაძის რეჟიმი და კანონიერი ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობის აღდგენით საქართველოში ერთხელ და სამუდამოდ გამთლიანდეს იურიდიული სივრცე - ერთადერთი გარანტი ქვეყნის აღმშენებლობისა!

*ტარიელ ფუტკარაძე*

## გაზეთი „ქუჯი" ერთი წლისაა

### „ქუჯის" რედაქციას

გულის ფანცქალით ვათვალიერებ ყველა ნომერს და ვეცნობი მასში გამოქვეყნებულ მასალებს. გულის ფანცქალით იმიტომ, რომ... ეჰი, თუ...

არა და დღემდე არამც თუ ვპოულობ მასში რასაც ველოდებოდი, არამედ გაცილებით მეტსაც და ასეთი მარტო მე არა ვარ.

მოგეხსენებათ ამ შეჭირვებულ პერიოდში გაზეთის შეძენაც კი ჭირს, ამიტომ ზოგიერთებმა შეწყვიტეს ჩემს ახლობელთა შორისაც „ქუჯის" მიღება, მაგრამ ისინიც თქვენი გაზეთის მუდმივი მკითხველები არიან. მათ რიცხვს ჩემს ნაცნობთა შორის თუ ემატება, თორემ... ამიტომ გაზეთის მიმართ მოთხოვნა და გამოქვეყნებული მასალები, თქვენი კოლექტივის გამარჯვებად აღიქმება, რასაც გილოცავთ. გისურვებთ ასე გაგეგრძელებინოთ, ვიდრე მიზნამდე მიხვალთ და შემდეგაც. ღმერთმა დაგლოცოთ. ღმერთმა გაგაძლიეროთ. ღმერთმა ჭეშმარიტების გზით გატაროთ.

*ლერი ბურბუნიძე*

ჩვენი ზვიადისა და მერაბის გზა, იღეა ხომ ქრისტეს გზაა, ეკლიანი გზაა. ძნელად, მაგრამ მივალთ ნანატრ ტაძართან. გაზეთი „ქუჯი" დიდ როლს ითამაშებს დაკარგული რწმენის აღდგენაში გასაერთიანებლად ქართველთა. „ქუჯელებო", ლოცვა და შრომა, შრომა და ლოცვა, დიდება უფალს!

*ლეთისმახური*

### ჩემო ძვირფასებო!

მოგილოცავთ გაზეთ - „ქუჯის" დაბადების დღეს. რა დიდებული სახელი შეგირჩევიათ. კვლავაც ქუჯი ყოფილიყოს ქართველთა გაერთიანების ინსპირატორი.

ზვიადისა და მერაბის იდეა ცოცხლობს.

„ქუჯელებო" თქვენს გვერდით გვიგულეთ.

თქვენს შემართებას გაუმარჯოს!

*მ. გელეიშვილი*

გაზეთი „ქუჯი" პატარა სანთელია სიბნელითა და სიცრუით მოცულ საქართველოში.

XXI საუკუნის პირველ წელსვე პატარა სანთელი ჩირაღდნად ქცეულიყოს და მის შუქს მთელი ჩვენი მამული გაენათებინოს ნიკოფსიითგან დარუბანდამდე.

დაე, გაცოცხლდეს მამული ჩვენი.

*თ. ხხეიძე*

### პასუხისმგებელი რედაქტორის მინაწერი

*გაზეთ „ქუჯის" რედაქცია უღრმეს მადლობას უხდის ჩვენი გაზეთის მკითხველებს გულთბილი წერილებისა და თანადგომისათვის. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ კანონიერებისა და სამართლიანობის აღდგენისათვის ბრძოლა ნაყოფს უთუოდ გამოიღებს, ღრუბელი გაიფანტება, მზე გამოანათებს, ავადმყოფი მოკეთდება და შეერთული საქართველო აღსდგება, აღსდგება იმად, რომ მტერს თავისი საკუთარი მიუზღოს და მოყვარეს მოყვრისა:*

*ხეო უფლისაო, ხეო უფლისაო,*

*მიმრავლე მოდგმა, მოისხი ვარსკვლავეთი ბრიალა,*

*მე კი დამიგულე იმ მკურნალ ფოთლად,*

*რომელიც დაედება მამულის იარას!*

# გაუტეხლობა-დაუმორჩილებლობის მატიანე



ილია ჭავჭავაძე



ქაქუცა ჩოლოყაშვილი



მერაბ კოსტავა



ზვიად გამსახურდია

## მხედრებო, ასე ულმერთოდ რად მიატოვეთ რაშები

1857 წელს ქუთაისში გამოიძახეს სვანეთის მთავარი კონსტანტინე დადეშქელიანი და ერევანში გადასახლება გადაუწყვიტეს. ეს გადაწყვეტილება ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა გამოუცხადა. მოხდა შელაპარაკება მათ შორის. გაგარინმა ბრძანა განეიარაღებინათ იგი. კონსტანტინემ ეს ველარ მოითმინა და მოკლა გაგარინი, აგეთვე იქვე მყოფი მოხელეები ილინი და არდიშვილი. კონსტანტინე გაიქცა, მაგრამ შეიპყრეს და დახვრეტა მიუსაჯეს. დახვრეტის შემდეგ მისი მამულები ხაზინას გადასცეს, ოჯახის წევრები კი სვანეთიდან გადაასახლეს.

***

1859 წელს, 25 აგვისტოს რუსებმა აიღეს შამილის უკანასკნელი ციხე-სიმაგრე ღუნიბი. 1863 წელს დაიმორჩილეს ყუბანის მხარე, 1864 წლის მარტში გაანადგურეს უბიხები და 21 მაისს, იქვე სოფელ კბადაში რუსეთის ჯარმა ზეიმით აღნიშნა კავკასიის დამორჩილებისათვის წარმოებული თითქმის საუკუნოვანი ომის დასასრული.

***

1859 წელს სამეგრელოში უტუ მიქავას აჯანყებამ იფეთქა. უტუ მიქავამ მოსალაპარაკებლად მოსულ რუსის გენერალს მიმართა: „ამ ერთი წლის წინათ ჩვენს ქვეყანას ოსმალთა ჯარი შემოესია... შველა არსაიდან გვქონდა, რუსის ჯარმა თავი დაგვანება, ხოლო ჩვენი ბატონები, იმის მაგივრად, რომ დაგვეფარნეთ, გოგოებსა და ბიჭებს გვტაცებნენ და ოსმალებზე ჰყიდნენ". აჯანყება დამარცხდა. 40 კაცი ციმბირში გადაასახლეს.

***

1864 წელს იმპერატორის ბრძანებით აფხაზეთის სამთავრო გაუქმდა.

***

1877 წელს ილია ჭავჭავაძემ დააარსა გაზეთი „ივერია".

***

1881 წელს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი იანოვსკი აქვეყნებს ცირკულარს. ამ ცირკულარის მიხედვით დაწყებითი კლასებიდანვე უნდა შემოღებულიყო რუსული ენის სწავლება.

***

1882 წელს აკაკი წერეთელი ბევრს ეცადა, რომ გაზეთი „გზა" დაეარსებინა, მაგრამ ამაოდ. მთავრობამ ნებართვა არ მისცა თავისი ლიტერატურული ნაწარმოებებით ხელისუფლების საწინააღმდეგო მიმართულებას ამჟღავნებსო.

***

1885 წელს გამოქვეყნებული მორიგი ცირკულარით ქართული ენა სავსებით განიდევნა სკოლიდან.

***

1885 წელს სამოსწავლო უწყება მთავარმართებელს აძლევს წინადადებას ივანე მაჩაბლის „დროების" რედაქტორობიდან გადაყენების შესახებ. იმავე წელს „დროება" დახურეს „მთავრობის საწინააღმდეგო მიმართულების გამო".

***

1886 წელს დიმიტრი ყიფიანმა დონდუკოვ-კორსაკოვს წარუდგინა მოხსენებითი ბარათი, რომელშიც იგი პროტესტს აცხადებდა: მოციქულთა დროიდან ქართული ენა იყო საეკლესიო და საკულტო ენა სამეგრელოში... ახლა კი მეგრულ ენას ასწავლიანო... მალე შინაგან საქმეთა მინისტრმა ლ. ტოლსტოიმ დონდუკოვ-კორსაკოვს აცნობა: „ხელმწიფე იმპერატორი გავალებთ, გამოუცხადოთ მას (დიმიტრი ყიფიანს) სათანადო გაკიცხვა".

***

1886 წელს სასულიერო სემინარიიდან გარიცხულმა იოსებ ლაღიაშვილმა მოჰკლა სემინარიის რექტორი ჩუდეცკი. ლაღიაშვილს 20 წლის კატორღა მიუსაჯეს. რუსმა ეგზარქოსმა პავლემ ჩუდეცკის დასაფლავების დღეს დასწყევლა საქართველო და ქართველი ხალხი.

დიმიტრი ყიფიანმა აღშფოთების წერილი მისწერა ეგზარქოსს: „თქვენი ღირსების გადარჩენა შეიძლება იმით, რომ შემჩვენებელი დაუყოვნებლივ განიდევნოს შეჩვენებული ქვეყნიდან".

***

1886 წელს, იმპერატორის ბრძანებით, დიმიტრი ყიფიანი გადააყენეს ქუთაისის თავადაზნაურობის წინამძღოლობიდან და სტავროპოლში გადაასახლეს. აქ იგი ვერაგულად მოკლეს მიგზავნილმა მკვლელებმა. დიმიტრი ყიფიანის დასაფლავება ეროვნულ-საპროტესტო დემონსტრაციად გადაიქცა.

***

1907 წელს ქართველმა ინტერნაციონალისტ-კომუნისტებმა მოჰკლეს ქართველი ერის წინამძღოლი ილია ჭავჭავაძე.

ვაჟა-ფშაველამ თქვა: ილიას მკვლელებს რომ შეეძლოთ, საქართველოსაც მოჰკლავდნენო.

***

1918 წლის 26 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ისტორიული აქტი - მან სახელმწიფო დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

***

1922 წელს რუსეთის მე-11 არმიამ გადმოლახა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი. ამ არმიას საქართველოს დაპყრობა ჰქონდა განზრახული. მას ქართველები მოუძღოდნენ. გაიმართა სისხლისმღვრელი ბრძოლები თბილისის მისადგომებთან. მრავალი ქართველი მამულიშვილი ჩაწვა თბილისის კართან. 25 თებერვალს თბილისი მტერს დანებდა. ქართულმა ჯარმა უკანს დაიხია. საქართველოს კვლავ რუსეთის იმპერია დაეუფლა.

***

1922 წლის 11 თებერვალს „ახალმა ხელისუფლებამ" სისხლში ჩაახრჩო ახალგაზრდობის საპროტესტო გამოსვლები.

***

1922 წლის 24 მაისს, დამოუკიდებლობის გამოცხადების წლისთავზე, ახალმა ხელისუფლებამ კვლავ სისხლში ჩაახრჩო სახალხო გამოსვლები.

***

1922 წელს, თელავის, სიღნაღის, თიანეთის მაზრების ტერიტორიაზე შეიქმნა დიდი შეიარაღებული რაზმი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა საქართველოს ეროვნული გმირი ქაქუცა ჩოლოყაშვილი.

***

1924 წელს მოხდა დიდი სახალხო აჯანყება. აჯანყებამ მთელი საქართველო მოიცვა. შეიქმნა კარგად შეიარაღებული რაზმები: კახეთში - ქაქუცა ჩოლოყაშვილისა, ქართლში - ლაშქარაშვილისა, ბორჯომში - კასრაძისა, სვანეთში - გარდაფხაძისა, გურიაში - მათითაშვილისა და ა.შ.

აჯანყება დამარცხდა. კომუნისტებმა დაუნდობლად ჩახოცეს აჯანყებულნი.

***

1924 წლის 7 სექტემბერს, აჯანყების დამარცხების შემდეგ, ხელისუფლების მითითებით, თბილისის „უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომ უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო საქვეყნოდ გმობს უპასუხისმგებლო და ავანტურისტულ გამოსვლას არსებული ძალაუფლების წინააღმდეგ და მას სთვლის ქართველი ერის ინტერესების ღალატად(!!!)"

***

1935-1940 წლებში რეპრესიების უსაშინლესმა ტალღამ გადაუარა საქართველოს. ამ რეპრესიების შესახებ ქართველმა ერმა ძალიან ცოტა რამ იცის.

***

1941 წელს თბილისში ჩაისახა შეთქმულება, რომლის მიზანი იყო - საქართველო მთლიანად არ გასრესილიყო უზარმაზარი სახელმწიფოების მსოფლიო მასშტაბის ომში.

1942 წელს შეთქმულება გამჟღავნდა და შეთქმულების მონაწილენი სიკვდილით დასაჯეს: კოტე ჩოგლიძე, შალვა შავიანიძე, კოტე ხიმშიაშვილი, გიორგი იმერლიშვილი, გიორგი ახობაძე, გიორგი ძიგვაშვილი, მიხეილ კაციტაძე, მიხეილ საბაშვილი, გიორგი ქადაგიძე, ლევან თორაძე, რომან ბატიაშვილი, თურმან შანშიაშვილი, გივი თარგამაძე, მიხეილ იმერლიშვილი, სოლომონ იმერლიშვილი, დიმიტრი ბურდიაშვილი, ზურაბ მისაბლიშვილი. 13 კაცი შუა აზიაში გადაასახლეს. შეთქმულების ერთი მონაწილე ლადო ბალიაური გაიქცა, მაგრამ მოგვიანებით მაინც შეიპყრეს და ციმბირში გადაასახლეს. იქ დაიღუპა.

***

1942 წელს თუშეთის ტყეებში „სამანელთა" აჯანყებული ჯგუფი გავიდა. მათ პრინციპულად არ მიიღეს მონაწილეობა რუსეთისა და გერმანიის ომში. მიიჩნიეს რომ ამ ომში საქართველოს ბედი არ წყდებოდა. 1943 წელს, თორღვას ხეობაში დაბანაკებულ „სამანელებს" თავს დაესხნენ. ზოგი დახოცეს, ზოგიც შეიპყრეს და შემდგომ დასაჯეს სიკვდილით.

***

სამჯერ იყო გადასახლებული პოლიტპატიმართა ბანაკებში გამოჩენილი ქართველი მწერალი ლევან გოთუა. მან გადასახლებაში სრული 22 წელი გაატარა.

***

დაუმორჩილებლობის ახალი ფურცელი დაიწყო საქართველოში ჰელსინკის ჯგუფის ჩამოყალიბების შემდეგ, მაგრამ ეს უკვე გუშინდელი ამბებია და ყველას კარგად მოეხსენება...

თავისუფლებისათვის ბრძოლა გრძელდება



ვახტანგ კოტეტიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, პავლე ინგოროყვა, ალექსანდრე აბაშელი.
ფოტო გადაღებულია 1924 წლის ამბოხების შემდეგ

შავჩოხიანი
შეისვენებს
მგზავრობის
შუა,
წამოიძინებს,
ამის
დრო
თუა,
გზას
გაუდგება
ლეგა
ცხენზე
ამხედრებული,
ვერ
შეაშინებს
დაბრკოლება
გზად
ხვედრებული!

# საქართველოში სამხედრო-სახელმწიფო 1991 წლის 22 დეკემბერი -

## 1992 წლის 14 იანვრის მიმართვა ქართველი ერისადმი

ძვირფასო თანამემამულენო!

იმპერიული ძალების მიერ ინსპირირებულმა პუტჩმა უდიდესი უბედურება დაატეხა საქართველოს. პუტჩისტები ცდილობენ ხელისუფლების უზურპირებას, მთავრობის ჩამოყალიბებას, თუმცა მათი ყოველგვარი ქმედება უკანონოა და ანტიკონსტიტუციური. ა.წ. 6 იანვარს, მე, საქართველოს კანონიერმა პრეზიდენტმა და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმა დავტოვეთ უზენაესი საბჭოს შენობა, რათა აღარ გაგრძელებულიყო ნგრევა და სისხლისღვრა. თუმცა ადგილის გამოცვლა ჩვენ მიერ არ ნიშნავს პოზიციის დათმობას. ჩვენ კვლავ წარმოვადგენთ საქართველოს კანონიერ ხელისუფლებას. მე არ გამიკეთებია განცხადება გადადგომის შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში შექმნილმა ხუნტამ პირველსავე დღეს „შეაჩერა“ კონსტიტუცია და „დაითხოვა“ პარლამენტი, ამჟამად იგი ცდილობს დეპუტატების დაშინებას და სესიის მოწვევას, რათა მიაღებინოს მას უკანონო გადაწყვეტილებანი. პარლამენტის მუშაობას შექმნილ სიტუაციაში არ ექნება არავითარი აზრი. მოვუწოდებ დეპუტატებს: არ დაექვემდებარონ ხუნტის შანტაჟს, არ გამოცხადდნენ ე.წ. სესიაზე თუ შეკრებაზე, არ შეირცხვინონ თავი ერის წინაშე, და თუ ხუნტამ მაინც მოახერხა მათი ნაწილის შეკრება, ეს იქნება ცრუ სესია, რომლის არც ერთ გადაწყვეტილებას არ ექნება ძალა. ქართველი ერი არ უნდა დაემორჩილოს სისხლიან კრიმინალურ ხუნტას, უნდა ვამხილოთ მისი ყოველგვარი დანაშაული კრებებზე, მიტინგებზე, თავყრილობებზე. შევქმნათ წინააღმდეგობის შტაბი, საგაფიცვო კომიტეტები, სახალხო რაზმები.

პუტჩისტების რეჟიმს - ბოიკოტი და დაუმორჩილებლობა!

საქართველო გაიმარჯვებს!

*ზვიად გამსახურდია*

*საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი*



## რა მოვიგეთ

ძვირფასო რედაქციავ „ქუჯელებო“, რადგანაც უკვე ძალზე შეგეჩვიეთ და უთქვენობა ველარც წარმომიდგენია, მინდა გაგიზიაროთ სულიერი ტკივილები, რაც ძალზე მაწუხებს და ვერავისთვის მიმიმართავს.

საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც მთელი რესპუბლიკის მასშტაბით 1988 წელს დაიწყო, უსისხლო გამარჯვებით დამთავრდა 1991 წელს, როცა საყოველთაო-სახალხო არჩევნების გზით შეიქმნა ეროვნული ხელისუფლება საქართველოს სრული დამოუკიდებლობის მიღწევის შესანიშნავი საპროგრამო კურსით.



ასეთი ეროვნული იდეებით გამსჭვალული მთავრობა, რომელიც ძირს უთხრიდა რუსეთის ბატონობას, არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს კავკასიაში, მიუღებელი იყო იმპერიული ამბიციებით მოწამლული ნებისმიერი რუსული ხელისუფლებისა და გენერალიტეტისათვის, მათ შორის მოფაშისტო ინტელექტუალებისათვის.

ამიტომ რუსეთის იმპერიალისტური წრეების წინაშე დაისვა საკითხი ეროვნული მთავრობის დამხობისა და მის ადგილზე რუსთმოყვარე ხელისუფლების დაბრუნების შესახებ. რუსული ინტერესებიდან გამომდინარე ამ ამოცანის შესრულებას დიდად შეუწყო ხელი თვით ჩვენი ქვეყნის შიგნით გაჩაღებულმა ამბიციურობამ.

ასე შეიკრა გარეშე და შინაგანი რეაქცია საქართველოს კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელიც მთელი თავისი შინაარსით მიმართული იყო საქართველოს ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგოდ. 22 დეკემბრის აქტი იყო 2000 წლის მანძილზე ნალოლიავები ეროვნული იდეების განადგურება - ყოველი ჭეშმარიტი მამულიშვილისათვის საუკუნეების მანძილზე ნანატრი და ღმერთისაგან ბოძებული ეროვნული მთავრობის დამხობა და კვლავ პრორუსული ხელისუფლების აღდგენა. ამ გადატრიალებით გამოწვეული სულიერი და მატერიალური დანაკლისი უსაზღვროდ დიდია. სახეზეა: დანგრეული და ტერიტორიებდაკარგული, ეკონომიკამოშლილი ქვეყანა და დაბეჩავებული ხალხი, დამსხვრეული ეროვნული და სულიერი იდეალები...



*ირმა ჩხეიძე*

## ურმის გადაბრუნებამდეც გზა კარგად ჩანდა!

ათი წელი გავიდა იმ ავბედითი დეკემბრიდან.

ათი წელი არც თუ ცოტა დრო ყოფილა, თეთრი თეთრად დაგვენახა და შავი შავად...

იარაღის ძალით დამხობილი საყოველთაო, დემოკრატიული კენჭისყრით არჩეული პრეზიდენტი და უზენაესი საბჭო...

სასომიხდილი ქართველი ხალხი...

მავანთა და მავანთა „ბლევამოსილი გამარჯვება“ და „თავბრუდამხვევი წარმატებები“...

უმოწყალოდ დახვრეტილი მიტინგები...

საკუთარი მრწამსისთვის დევნილი ადამიანები...

და მერე... გაცრუებული იმედები...

დემოკრატიის ლოზუნგით მოსულნი ვერ დაიკვეხნიან ვერაფერს კარგს, ჩვენი ცხოვრების ვერცერთ სფეროში ვერ დაიბრალებენ ხალხისათვის სასიკეთო საქმის გაკეთებას...

რეპორტაჟი ქუჩიდან

მზია რუხაძე, ინჟინერი: *ამ ათმა წელმა ვერაფერი მოგვიტანა სასიკეთო, უარესობისკენ მივდივართ. ეიმკით სახელმწიფო გადატრიალების „მიღწევებს“. გადაწვეს და გადაბუგეს მთელი თბილისი, მერე ადგნენ და შევარდნაძე პატრიოტად გამოაცხადეს, გამსახურდია - მოღალატედ.*

სულიკო ლოლაშვილი, ქორეოგრაფი: *ხელისუფლების სათავეში მყოფებმა იციან, ბოლომდე ვერ გაუძლებენ ხალხის ზეწოლას და ცდილობენ, ბევრის მოხვეჭა მოასწრონ.*

ზურაბ გვაზავა, მასწავლებელი (ლტოლვილი აფხაზეთიდან): *რა გითხრათ? ჩემი გასაჭირი რა მოსატანია, როცა მთელი ქვეყანა უთავოდ და უქუდოდაა.*

ლიზა სულაბერიძე, ჟურნალისტი: *თითქოს ყველაფერი გუშინ მოხდა, რადგან განსხვავება არაა იმ დაწყევლილ დღეებსა და ახლანდელ მძიმე მდგომარეობას შორის. თუ ვა, ვფიქრობ, მაშინ უფრო აქტიურები ვიყავით... ყველამ მშვენივრად უწყის, რომ ეს სახელმწიფო გადატრიალება და საქართველოს ხელახალი ანექსია იყო რუსეთის მიერ ქართველთა ხელით. განა მაშინ, როდესაც ორჯონიკიძე შემოვიდა, სამოქალაქო ომი ან რევოლუცია იყო? როგორც ახლა, მაშინაც ჩქმალავდნენ სიმართლეს, თითქოს ხალხი დიდი სიხარულით შეხვდა ამ ბარბაროსობას. კარგად მახსოვს რუსული ტანკები და ჯარის ნაწილები... როგორც ვიცით, მათ საკმაოდ დიდი თანხა გადაუხადეს ამ „რევოლუციის“ შემკვეთებმა.*

*სახარებისეული სიტყვები მახსენდება, რომელიც კარგად ასახავს ასეთ „ლეგიტიმურ“ მთავრობათა საქმიანობას: „ვინც შენობაში კარებით არ შევა და სხვა გზით შეაღწევს, ქურდი და ავაზაკია იგი“.*

ლევან ენდელაძე, სტუდენტი: *ერი თავის თავში გულისხმობს გარკვეულ კულტურას, რომელსაც ქმნიდა არსებობის მანძილზე. მასონები ისწრაფვიან ერების განადგურებისაკენ, ამისთვის კი საჭიროა მოისპოს ის ეროვნული ძალა, რაც ეროვნულ სულს წარმოაჩენს.*

*ყველა ბოროტების სათავე მარტო შევარდნაძე და მისი მთავრობა კი არა, ისინიც არიან, ვინც ისინი და მათი მსგავსნი გამოავზავნა.*

*სიმართლის გაგებისა და გადარჩენის ერთადერთი გზა ეკლესიური ცხოვრებაა. იმის თქმა, რომ ეს იყო სამოქალაქო ომი, მასონური მსოფლმხედველობის წისქვილზე*



*ასხამს წყალს. ქრისტიანობის გაგების გარეშე, ვერ ჩაწვდები ეროვნების მტრების საქციელს.*

სავალალოა სრულიად საქართველოს სურათი. ზოგჯერ საიდუმლოდაც რჩებოდა ამა თუ იმ პიროვნების რეალური სახე. დღეს განგებამ ყველას სათითაოდ დაგვანახა ყველაფერი, ბოლომდე გაგვაგებინა და გვაგრძნობინა...

პოლიტიკური სტრიპტიზის სცენებს ზოგჯერ ემატებიან ან აკლდებიან მონაწილენი, მაგრამ საერთო ვითარება არ იცვლება.

*ლეილა ხაჭაპურიძე*



აღმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია!

# გადატრიალების შემდეგ 10 წელი გავიდა

## 1992 წლის 6 იანვარი

### ღმერთმა აცხონოს ეროვნული ღირსების დაცვისათვის ბრძოლებში დაღუპული გმირები



**ნუგზარ ქვაბავა**

დაიბადა 1947 წლის 3 დეკემბერს. იყო პრეზიდენტისა და კანონიერი პარლამენტის მომხრე. იბრძოდა წალენჯიხაში. 6 თანამებრძოლი გადაარჩინა, შემდეგ ხელში ჩაიგდეს და წამებით მოკლეს ინტერნატის ეზოში. მისი გახრწნილი ცხედარი 20 დღის შემდეგ იპოვეს.

დარჩა მეუღლე და ორი შვილი. გარდაცვალების შემდეგ შეეძინა ბიჭი, რომელსაც ნუგზარი დაარქვეს.



**ზურაბ კვიკვინიძე**

დაიბადა 1959 წელს ხობის რაიონში.

1992 წელს დაამთავრა თბილისის რკინიგზის ტექნიკუმი. მუშაობდა სამტრედიის რკინიგზაზე.

იგი 1992 წლის 30 სექტემბერს სადგურ სენაკის ბაქანზე, დილის ოთხის ნახევარზე მოკლეს ვაი-ქართველებმა.

დარჩა მეუღლე და ორი მცირეწლოვანი ვაჟი.



**ავთანდილ ელიავა**

დაიბადა 1948 წლის 25 ოქტომბერს სენაკის რაიონის სოფელ კოტიანეთში.

ავთანდილ ელიავა დაიღუპა 1992 წლის 13 მარტს შეიარაღებული ფორმირებების მიერ სენაკში კინოს სახლის წინ გამართული მშვიდობიანი მიტინგის დარბევის დროს.

დარჩა მეუღლე და ორი ქალიშვილი.



**ზაურ ზარქუა**

დაიბადა 1946 წელს წალენჯიხაში. 1992 წლის 6 ივლისს სახლიდან გამოიყვანეს და ინტერნატის ეზოში სადისტურად აწამეს. იმავე ღამეს მოკლეს. მეორე დღეს, როდესაც მშობლებმა მოიკითხეს, უთხრეს, არ ვიცით სად არისო. მეორე ღამეს კი მოკლული ზაური ჩაის ფაბრიკის ეზოს ჭიშკართან დააგდეს. ცხედარი ისე იყო დაფლეთილი, ძლივს იცნეს.

ზაურს მოხუცი დედა დარჩა.



**მერაბ ქარდავა**

დაიბადა 1962 წლის 2 სექტემბერს წალენჯიხის რაიონის სოფელ ჯვარში. 1979 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა და სწავლა გააგრძელა თბილისის რადიოსა და ტელევიზიის შემკეთებელ ტექნიკუმში. 1982-1985 წლებში ენგურჰესის მშენებლობაზე მუშაობდა, 1985-1988 წლებში კი გეოლოგიურ ექსპედიციაში.

1992 წლის 20 მაისს მარტო მყოფს ბინაში მოულოდნელად თავს დაესხნენ ხუნტის ჯალათები და წამებით გამოასალმეს სიცოცხლეს.



**ბადრი ქვარიანი**

დაიბადა 1933 წლის 27 აპრილს სენაკის რაიონის სოფელ მენჯში.

1945 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა.

1955 წელს შექმნა ოჯახი, შეეძინა ორი ვაჟი, რომლებიც თავდადებით იბრძვიან დამოუკიდებელი საქართველოს მტრების წინააღმდეგ. ისინი დღესაც ეროვნული მოძრაობის ავანგარდში დგანან.

საქართველოში 1992 წლის დეკემბერ-იანვარში მომხდარი უბედურებით ფრთაშესხმულმა ხუნტის შეიარაღებულმა ფორმირებებმა სენაკში შეჭრის დღიდანვე საავადმყოფოებს მიაშურეს ნარკოტიკული ნივთიერებების გასატაცებლად. მათ 1992 წლის 26 იანვარს ერთ-ერთი თავდასხმის დროს წინააღმდეგობის გაწევისას ცელოფნის პარკით გაგუდეს ბადრი ქვარიანი, რომელიც საავადმყოფოს დარაჯობდა.



**მერაბ კვარაცხელია**

დაიბადა 1961 წელს.

1992 წლის 15 ივნისს მერაბი დაიჭირეს ხუნტის დამქაშებმა, როგორც სოფელ ჯვარში კურსანტებზე თავდასხმაში ეჭვმიტანილი. იგი არაადამიანურად აწამეს და მოკლეს. გამწარებულ და-ძმებსა და ნათესავებს დიდხანს უბნევდნენ გზა-კვალს. ატყუებდნენ, ჩვენ მერაბი 16 ივლისს გამთენისას გავუშვითო. ხან ეუბნებოდნენ, თბილისში გავაგზავნეთ დაკითხვაზეო. მისი ასავალ-დასავალი ვერავინ გაიგო, სანამ ტყეში არ იპოვეს მისი გვამი. მერაბის ნაწამებ-დასახიჩრებული ცხედარი ტანსაცმლით იცნეს. მის გვამს საერთოდ არ ჰქონდა თავი, კისერი, ხელები, წელს ზევით დამწვარი იყო. თავი ცალკე - მეორე დღეს იპოვეს. მას დაცლილი ჰქონდა კბილები.



**არკადი მარკოზია**

დაიბადა 1930 წელს მარტვილში. ეროვნულ მოძრაობაში ჩაება 70-იან წლებში. იგი მათ შორისაა, ვინც ეროვნული მოძრაობის გარიჟრაჟზე დადგა ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას გვერდით. არკადი მარკოზია აფხაზეთში მოღვაწეობდა. იყო ცხუმ-აფხაზეთის რეგიონის წმინდა ილია მართლის საზოგადოების სპიკერი. მისი მუშაობა შეუმჩნეველი არ დარჩენიათ მაშინდელი სუკ-ის თანამშრომლებს. მას სდევნიდნენ, აპატიმრებდნენ, მაგრამ ვერ გატეხეს, ვერ დაიმორჩილეს.

იყო უზენაესი საბჭოს დეპუტატი ბლოკ „მრგვალი მაგიდიდან".

დაიღუპა ბრძოლის ველზე უზენაესი საბჭოს მისადგომებთან 1991 წლის 22 დეკემბერს. იგი აქ მოვიდა პრეზიდენტისა და ხელისუფლების დასაცავად.



**ჯემალ კარტოზია**

დაიბადა 1943 წლის 4 ივლისს ზუგდიდში. ეროვნულ მოძრაობაში ჩაება 1991 წლის ოქტომბრიდან.

წალენჯიხაში „მხედრიონელების" წინააღმდეგ იბრძოდა. დაჭრილი მეგობრის, ბიჭა შენგელიას, გამოსაყვანად მისული თავადაც ტყვიების წვიმაში მოჰყვა და ხერხემალში დაიჭრა. მეგობრებმა უახლოეს ოჯახში მიიყვანეს, მაგრამ იმ ოჯახს „მხედრიონელები" დაესხნენ. მოკლეს ოჯახის უფროსი, სახლი გაძარცვეს და შემდეგ ცეცხლი მოუკიდეს. ჯემალი შტაბში წაიყვანეს, სადისტურად აწამეს, დანის წვერით დაჩხვლიტეს, სცემეს და სახსრები გადაუტეხეს. ასეთ მდგომარეობაში ა. კავსაძემ მოუსწრო და ცოცხალ-მკვდარი კაცი, ვითომ გადარჩენის მიზნით, მშობლებს არ ანახეს, ისე გააგზავნეს ქუთაისში. იქაც აწამეს. ქუთაისში გარდაიცვალა.

დარჩა სიმართლისათვის მებრძოლი მეუღლე და ორი ქალიშვილი.



**როინ დარსანია**

დაიბადა 1959 წლის 17 მაისს. როინი წალენჯიხაში იბრძოდა. როდესაც დაჭრილი გოჩა ლომია გამოჰყავდა, თვითონაც დაიჭრა მარცხენა ბეჭში. როცა დაჭრილი მანქანით მიჰყავდათ ზუგდიდისაკენ, სოფელ კორცხელში დახვდნენ „მხედრიონელები", მანქანა გააჩერეს და გადმოათრიეს ფეხებში დაჭრილი გოჩა. როინი დააბრუნეს წალენჯიხაში, იგი არნახულად აწამეს, გადაუმტვრიეს ოთხივე კიდური, დაუწვეს მარცხენა ხელი, დათხარეს თვალები. სახეზე ასზე მეტი ნატყვიარი ჰქონდა. ცალი ყბა ტყვიით ჩამოაფლითეს. როინს დარჩა 12 წლის ვაჟი.



რუბრიკით „მოძმეთა სისხლი ცაში ღმერთს შესჩუხჩუხებს და სამართალს ითხოვს" იბეჭდებოდა მასალები საქართველოსათვის წამებული პიროვნებების შესახებ გაზეთ „საქართველოს სამრეკლოში"; დღეს აქ წარმოვადგინეთ 1993 წლის ნოემბრის ნომრებში გამოქვეყნებულ მასალათა ერთი ნაწილი... გაზეთ „ქუჯის" რედაქცია მკითხველს სთხოვს მოგვაწოდოს ბიოგრაფიული ცნობები განვლილ 10 წელიწადში საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დაცვისა და აღდგენისათვის დაღუპულ გმირთა შესახებ.

## ჩვენი რწმენა

# წმიდა გაბრიელ ქიქოძე ახალი წლისათვის
## (სიტყვა თქმული ქუთაისის სობოროში)

ახალი წლის პირველ დღეს, ძველი ჩვეულების თანახმად, ჩვენ ყველანი ერთმანეთს ვულოცავთ ამ დღესასწაულს და ვლოცავთ კეთილი სურვილებით. არც მე უარვყოფ ამ ჩვეულებას, რადგან იგი არ არის ურიგო და სჯულის წინააღმდეგი. მე მსურს მოგილოცოთ ეს ახალი წელი და დაგლოცოთ თქვენი ჩვეულებისამებრ: ღმერთმა მრავალი წელი დაგასწროთ, ტკბილად დაგაბეროთ, გაგამდიდროთ და სხვ. რასაკვირველია, ეს ყოველივე არ არის ურიგო, მაგრამ, საყვარელნო, მეგულება უმჯობესი და უძვირფასესი ამათზე, რაც მინდა გითხრათ.



პირველად მსურს და ვევედრები ღმერთს, რომ ამ წელიწადში ყველანი უკეთესნი გავხდეთ სულითა და გულითა. მსურს, რომ სულიერება მოგვემატოს, არა მხოლოდ ჩვეულებისამებრ აღვასრულებდეთ სჯულსა, არამედ სულიერად. არა მხოლოდ მოვისმენდეთ წირვა-ლოცვას ეკლესიაში, არამედ ცხოვრებაშიც აღვასრულოთ იგი. არა მხოლოდ მოვნათლავდეთ შვილებს, არამედ აღვზრდიდეთ მათ ქრისტიანობრივად. არა მხოლოდ ერთხელ ვეზიარებოდეთ წელიწადში და შემდეგ ცოდვით ვიდოდეთ, არამედ რაც ერთხელ მოვინანიეთ, აღარ გავიმეოროთ.

მეორედ, რადგან მოკლეა ცხოვრების დღენი და კიდევ ერთი წელიწადი გავიდა, ვისურვებ და მხურვალედ ვევედრები უფალს, დანარჩენი დღეები ჩვენი ცხოვრებისა მოგვახმაროს კეთილად და სულის სასარგებლოდ. უქმად არ გაგვატარებინოს დრო და ღმერთმა თავისი მადლით შეგვაგონოს, თუ რა ძვირფასია კაცისათვის ყოველი წამი.

ბოლოს ვისურვებ მოგვცეს ჩვენ ერთობა და სიყვარული, რომელიც არის დაუფასებელი საუნჯე და გვირგვინი ქრისტიანობისა.

ახლა კი, ჩემო, საყვარელო ძმებო, თუ მე დაგლოცეთ, თქვენც გმართებთ მე დამლოცოთ. გევედრებით, ევედრეთ ღმერთს, რათა მომცეს ძალა და მადლი კეთილად ვემსახურო წმინდა ეკლესიას და თქვენს ცხოვრებას, რადგან ჩვენ ყოველნი შევადგენთ ღმერთის ეკლესიას. ისურვეთ ჩემთვის, რათა სიტყვებსა და დარიგებებს ჰქონდეთ კეთილი ნაყოფი, რათა ყოველთა კეთილად ცნან რა მსურს და რას ვამბობ, რადგან არიან ისეთნი, რომელთაც არ მოსწონთ ჩემი საქმიანობა. მე კი ვიქცევი ისე, როგორც მიბრძანებს სჯული და სინდისი.

ბოლოს კი, საყვარელნო ძმანო, ყველამ მხურვალედ შევთხოვოთ მაცხოვარს, რათა იყოს ჩვენი შემწე და მფარველი მომავალი წლის განმავლობაში:

„მაცხოვარო ჩვენო, თუმცა არ ვასრულებთ ჯეროვნად შენთა მცნებათა; გარნა მაინც შენნი ვართ. შენსა სახელსა ვესავთ ძველითგანვე, ვითარცა წინაპარნი ჩვენნი, ეგრეთვე ჩვენ ვითარცა იგინი დაიცევ მრავალთა ჭირსა და განსაცდელთა შორის ვიდრე აქამომდე და ქვეყანა ესე ჩუენი შეიყვანე მყუდროსა ნავთსაყუდელსა შინა, ეგრეთვე ჩვენთვის იყავ შემწე და მფარველ უკუნისამდე, ამინ!“

*მასალა მოამზადა თეა ცირეკიძემ*

*მამა ლაზარეს (კანდელაკი) ლოცვა-კურთხევით*

# კოლხური კოშკის ცრემლიანი ნაწერები

კოლხური კოშკი – ნავთსაყუდელი საქართველოს თავისუფლების იდეისა, განმათავისუფლებელი ბრძოლის ცეცხლის კერა, საქართველოს სინდისი. მის მრავალჭირნახულ კედლებს ცრემლიან მოფერებად აჩნია ქართველი ერის ტკივილიანი სტრიქონები.

გთავაზობთ რამდენიმე მათგანს.



***

*მე მესმის მთების დიდი შეძახილი,*
*სიტყვას რომ ამბობენ დიადს,*
*თურმე რარიგ სჭირდებით საქართველოს,*
*ბატონო ზვიად!*

***

*ალბათ, თქვენს სახეს*
*ვინმე დახატავს,*
*მერე საყდარში სალოცავად*
*დაკიდებს ხატად,*
*მერე მოვლენ და*
*მუხლმოდრეკილნი*
*პატიებას შეგთხოვენ, ალბათ!*

***

*საქართველო არ იქნება უზვიადოდ!*
*არ დაბრუნდეს - ეს ხომ აბსურდია,*
*კავკასიას ისევ აღორძინებენ*
*იქით - ჯოხარ, აქეთ - გამსახურდია!*

***

*მოთმინებით და რუდუნებით*
*დაგელოდებით ბატონო ზვიად,*
*შეუპოვრად და სიამაყით დავაბიჯებთ*
*თქვენს ნაკვალევზე, ზვიად!*
*მოწიწებით და მოკრძალებით*
*ვეამბორებით თქვენს ნაიარევ მკერდს,*
*ზვიად!*
*სიყვარულით და სიხრულით*
*შევეგებებით თქვენს დაბრუნებას,*
*ბატონო ზვიად!*

# ვაი, რა კარგი საჩინო...

თებერვლის სუსხიანი დღე. ჩეჩნეთის დედაქალქი; გაცრეცილი ცა... თოვლ-ჭყაპი... დიდი მოედანი ქალაქის ცენტრში...

მოედანზე ხალხი, ზღვა ხალხი. ტრიბუნაზე გამომსვლელები ენაცვლებიან ერთმანეთს, ისმის შეძახილები, აქა-იქ - ნაღვლიანი, თუშურის მსგავსი მელოდიები, პრეზიდენტ დუდაევის ნაქანდაკები სახე...

წარსულს იხსენებენ, დაღუპულთ, სამშობლოსაგან მოწყვეტილებს იგონებენ და ფიცს დებენ ერთ მუშტად შეკრულნი, გადამთიელის ვერაგ ხიშტს წყევლიან, რისხვას მიაგებენ მტერსა და მოღალატეს. არწივებივით ვაჟკაცები საბრძოლო ნაბიჯით მიდიან, დედები ლოცავენ, ამხნევებენ...

ხალხი, ხალხი...

მოედანზე ორი დროშაა აღმართული, ორი დროშა: ერთი ჩეჩნეთის, მეორე - საქართველოსი, შავი ბაფთით შემკული საქართველოს დროშა. იქვე, კუთხეში, ამ პატარა, გაუტეხელი ხალხის სამხედრო ალღუმს უყურებენ პრეზიდენტის დასატირებლად ჩამოსული ცრემლმორეული ქართველები; სტირიან თავიანთ თავს, სტირიან თავიანთ სამშობლოს, ფეხქვეშ გათელილ ეროვნულ სიამაყეს, აოხრებულ სანახებსა და გაყიდულ მიწა-წყალს, და სრულიად შეიგრძნობენ იმ სირცხვილს, რომელიც ვერ ასცდათ, იმ დანაშაულს, რომელსაც ვერ აპატიებენ თავიანთ თავს.

„ვაი, რა კარგი, საჩინო, რა ავად მიგიჩნიესო, ბოროტისაგან კეთილი შურით ვერ განარჩიესო...“

გლოვობს ჩეჩნეთი, გლოვობს კავკასია...

აი, გაისმა საქართველოს ჰიმნი. ზვიად, შენ დაუბრუნე იგი ქარველ ხალხს!

აი, აფრიალდა საქართველოს დროშა. შენ დაუბრუნე ქართველებს ისიც, ზვიად!

აი, შვიდქიმიანი ვარსკვლავი წმინდა გიორგის ხატებით... რომელი ერთი, ზვიად?

ისმის „შავლეგო“, „ჩემო კარგო ქვეყანავ“. დგანან დევნილი, ნაცემნაგვემი ქართველები, შორეული ქალაქებიდან ჩამოსულნი, შვილმკვდარი მშობლები და მისტირიან თავიანთ იმედს...

- „ვაი, ზვიად! გასკდა ეს გული, მეტი აღარ შემიძლია! ხმით ნატირალი გეკუთვნის, ხმით უნდა დაგიტირო“ - მოსთქვამს სვანი ქალი. ვის დაუტოვე, ზვიად, „შავლეგო“, ვის? ერთი-ორ სიტყვას სვანურადაც გეტყვი, შენ ხომ ყველა კუთხე ერთნაირად გიყვარდა, ჩვენო ტანჯულო პრეზიდენტო“...

მართლაც ტანჯულო, მაგრამ მაინც დაუმარცხებელო პრეზიდენტო!

დაჩოქილი მოსთქვამს სამეგრელოდან ჩამოსული შავოსანი. ერთდროულად ეს კვნესაც არის და უზენაესი სიმღერაც, მელოდიური გალობაც და სულის განწირული ამოძახილიც.

„შენ ყველა კუთხე ერთნაირად გიყვარდა“...

მარმარილოს დარბაზში „მიქელანჯელოს კუშტი დავითივით“ იცქირება სურათიდან საქართველოს პირველი პრეზიდენტი. და მოდის ზღვა ხალხი, დიდი და პატარა, მოაქვთ ყვავილები, ხელს გვართმევენ, - „ჩვენ თქვენთანა ვართ“...

როგორ ჰყვარებიხართ, ზვიად!

- „გმადლობთ, რომ ჩამოხვედით“, - გულში ხანჯალივით გვესობა ეს სიტყვები. ვაი, სირცხვილო!

- „იცით, რა პრეზიდენტი გყავდათ?!“ - გვეუბნებიან ცრემლმორეულნი.

ვერ გაგიფრთხილდით, ვერ დაგიცავით...

- მტერს ცრემლი არ დაანახოთ, - გვეუბნება დუდაევის ძმის ცოლი, - 18 წლის ვაჟკაცი მომიკლეს და ერთი არ დამიკვნესია, მტერი არ გამიხარებია. კიდევ სამი ვაჟი მყავს, თუ საჭირო იქნა, სამივეს შევწირავ ჩემს ქვეყანას, ჩემს პრეზიდენტს! ვუსმენთ გაოცებულები და გვჯერა, - ამ ხალხს ვერავინ დააჩოქებს!

- „ხალხის პრეზიდენტი იყავი, ზვიად, ხალხის პრეზიდენტი, - დასტირის მისი თანამეცხედრე, - ეს ვერ გაპატიეს, სიყვარული ვერ გაპატიეს, ერთგულება ვერ გაპატიეს...“



მართალც რომ ვერ აპატიეს... კიდევ ბევრი რამ ვერ აპატიეს: ნიჭიერება ვერ აპატიეს, განსწავლულობა ვერ აპატიეს, ოჯახიშვილობა ვერ აპატიეს, პირდაპირობა ვერ აპატიეს, რწმენის ურყეობა ვერ აპატიეს, „ბილწთ რომ არ შეეკრა ზავითა“, - ის ვერ აპატიეს...

და იგი, როგორც ამას დიდი მამულიშვილი, აწ განსვენებული გიორგი წერეთელი აღნიშნავდა, „დონკიხოტივით, გაძვალტყავებული როსინანტით, შეეცადა წინ აღსდგომოდა უზარმაზარ ფარულ და აშკარა შეთქმულებას“. დიახ, იგი წინ აღუდგა მსოფლიო შეთქმულებას თავისი ქვეყნის გადასარჩენად და... არ აპატიეს.

არ აპატიეს ათასი ჯურის ფარისევლებმა და ფლიდებმა; უმეცარმა პოლიტიკანებმა და ეროვნებადაკარგულმა კაცუნებმა;

გაქსუებულმა სიბარიტებმა და ზნეობაწართმეულმა სნობებმა;

გაჩარჩებულმა ხელოვნების მუშაკებმა და ლაზღანდარა კალმოსნებმა;

დამსჯელი სამსახურების გამოცდილმა პროფესიონალებმა და „საზოგადოების წრიდან“ გამოსულმა მოხალისე ჯალათებმა...

„...უძველეს მიწაზე ვცხოვრობთ, უძველესი ხალხი ვართ, დიდი სულიერი მისიის მატარებელიო“ და ტყვიები დაუშინეს, - ფაშიზმს ქადაგებსო, რეებს ლაპარაკობს, ჩვენც ერთი უბრალო ერი ვართ, ობოლი და უპატრონო, მუდამ ასე უნდა ვიყოთ, სხვისი, დიდი ერების თვალში შემყურე, სამათხოვროდ ხელგაწვდილი... და, ...წმინდა ნინოს ქვეყანაში, უცხო ქვეყნებიდან ჩვენს „მოსაქცევად“ ჩამოსული მისიონერები გვასწავლიან ქრისტეს სჯულს...

„...მიწას მოუფრთხილდით, ენას მოუფრთხილდით, საქართველო ვისაც უყვარს, ყველა შეიყვარეთ, მტერი და მოყვარე გაარჩიეთო“... და სხვა ერების სიძულვილი დააბრალეს...

„...ბარაბას გზით არ იაროთ ქართველებმაო“... და ვაი, რომ გავყევით ამ გზას!..

- „არ იტიროთ, იგი უკვდავია“, - გვეუბნება სანდომიანი ჩეჩენი ქალი, - ილაპარაკეთ მასზე, როგორც ცოცხალზე, ისე ილაპარაკეთ!“

ზვიად გამსახურდიამ კიდევ ერთხელ დაგვანახა, რა შესძლებია, რა ცეცხლი დაუნთია თავისუფლებისმოყვარე მოძმე ხალხში, ზოგიერთი ჩვენი წინაპრის სირცხვილიც მოუწმენდია ჩვენთვის, - „დიდი მოაზროვნე, გმირი, კავკასიის განმათავისუფლებელი“ - გვესმის ყოველი მხრიდან. და, საკუთარ სამშობლოში დევნილნი, სიამაყით გრძნობით ვივსებით, თავს მაღლა ვწევთ!

- როგორ ჰყვარებიხართ!

ვაი, მას, ვისაც ყურნი ასხიან და ვერ ისმენს...

ვაი, მას, ვისაც თვალნი აქვს და ვერ ხედავს...

ვაი, უმეცარნო, „იზოლაციონიზმსა“ და „სეპარატიზმში“ რომ სდებდით ბრალს, სხვა ერებისადმი შეუწყნარებლობას რომ სწამებდით, ერთი გენახათ, რა ამაყად მიდიოდა ნინოს ჯვარი ჩეჩნეთის მიწაზე, როგორ ყელყელაობდნენ ყვავილებისგან შეკრული ულამაზესი ჯვრები, როგორ მიჰყვებოდნენ პროცესიას დარახტულ ცხენებზე შემჯდარი ჩოხოსანი კავკასიელი რაინდები და მაშინ ნახავდით ნამდვილ ზეობას სიყვარულისა, ურთიერთპატივისცემისა, სიმართლისა, ძმობისა და შემწყნარებლობისა, სხვისი რელიგიის პატივისცემისა და საკუთარის სიყვარულისა!

იქ, ჩეჩნეთში მივხვდით, თუ რატომ არ სჯერა ქართველ ხალხს ზვიადის სიკვდილის. იქ გავიგეთ, თუ რატომ ელოდება მას საქართველოში დევნილი და ტანჯული, დამცირებული, მაგრამ მაინც ძლიერი, გაუტეხელი ქართველობა.

ზვიად გამსახურდიას სიკვდილი ვერას დააკლებდა.

მან დიდი ხანია უკვდავებაში შეაბიჯა!

*ცისია გოგოლაძე,*
*წიგნიდან „ჰეი, თქვენ დემოკრატებო!“*

**ბადრი ფხალაძე**

# ერთადერთი მიზანი

*„ერთადერთი მიზანია, რომ საქართველომ აღიდგინოს დაკარგული დამოუკიდებლობა, დაკარგული ტერიტორიები, გადაურჩეს გენოციდს“.*

*მანანა არჩვაძე-გამსახურდია*

1991-93 წლების სამხედრო-სახელმწიფო გადატრიალებიდან დღემდე ანუ 2001 წლის 22 დეკემბერს სრულდება 10 წლისთავი ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვისა. მართალია ეს დროის მონაკვეთი ისტორიისათვის წამია, მაგრამ ერისა და მისი საზოგადოებრივი ცხოვრების ნგრევისათვის, სრულიად საკმარისი, უფრორე მეტი, იმ მდგომარეობამდე მიყვანისათვის, რომლის შემდეგაც გამოუსწორებელი შედეგები იწყება.

გადატრიალების შედეგად მოსული ხელისუფლება არის ხუნტა, რადგან იგი სისხლისღვრით მოვიდა.

განვსაზღვროთ ხუნტის ხარისხი:

პირველი - რადგან ეს ხუნტა მოსულია სამართლებრივი და დემოკრატიული საყოველთაო არჩევნებით არჩეული კანონიერი ხელისუფლების დამხობის შედეგად - ხუნტა აგრესიულია.

მეორე - დამამხობელი ძალის იდეოლოგია რევანშისტულ-კომუნისტურია - ხუნტა რეგრესულია.

მესამე - გადატრიალება განხორციელებული იყო კრიმინალების მიერ - ხუნტა კრიმინალურია.

მეოთხე - კანონიერი ხელისუფლების დამხობაში ლომის წილი უდევს რუსეთის სამხედრო ნაწილებს, რომლებიც როგორც იარაღით, ასევე სამხედრო შენაერთებით უშუალოდ ეხმარებოდნენ - ხუნტა საოკუპაციო რეჟიმის სტატუსითაა აღჭურვილი.

მეხუთე - ამ ანტისამართლებრივ და ანტიდემოკრატიულ პუტჩს ევროპული არეალის მმართველმა ძალებმა დუმილით უპასუხეს - რითაც ხუნტა აღიჭურვა ცინიზმით; ყოველივე სამართლიანობის, კანონიერების, თავისუფლების იდეის, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებებისადმი დამოუკიდებლობაში.

ასე რომ, ჩვენ მივიღეთ უკანონო რეჟიმი, რომლის ანალოგია ძნელად მოიპოვება კაცობრიობის ახალი და უახლესი ისტორიის მანძილზე (პოლპოტის რეჟიმი, ჰიტლერის ფაშიზმი, სტალინის ბოლშევიზმი და სხვ.).

საქართველოს დღევანდელ „ხელისუფლებას" და უფრორე მეტად მათ გარშემო შემოკრებილ „ერთგულთ" (ერთგულება ანგარებაზეა დაფუძნებული) ამოძრავებთ ქვეცნობიერი იმპულსები და უყალიბდებათ ანტისახელმწიფოებრივი ცნობიერება. საზოგადოების ეს ნაწილი ყოველთვის არსებობს მეტნაკლები რაოდენობითა და ხარისხით. მათ გაძლიერებას იწვევს უკანონობა და უსამართლო ველი, რომელიც დაიწყო 1991 წლის 22 დეკემბერს და 10 წელია გრძელდება და უფრო და უფრო მძაფრდება.



უკანონო რეჟიმი - აქსიომაა - მოდის ხელისუფლებაში, როდესაც ძალადობით ამხობს კანონიერ, სამართლებრივ ხელისუფლებას. როდესაც ფეხქვეშ თელავს მოსახლეობის რეფერენდუმით გამოხატულ ნებას.

უკანონო ხელისუფლებაში ყოველთვის მილოლავს უღირსებო კოლტი. ამ დროს ხელისუფლებისა და ქონების მოპოვება გაადვილებულია. მხოლოდ ერთია საჭირო, ილია ჭავჭავაძის ნათქვამისა არ იყოს, ადამიანში დავანებული პატარა ღმერთი-სინდისი უნდა მოიშოროო, რადგან სინდისი ხელის შემშლელია „წარმატების" მიღწევაში.

კოლტის ბუნებაა, რაც შეიძლება განთავისუფლდეს სახელმწიფოს ბერკეტებისაგან; ამიტომ ებრძვიან ასე გაცოფებით დღეს შევარდნაძის უკანონო რეჟიმის წარმომადგენლები თავისუფალ, დამოუკიდებელ, ძლიერ სახელმწიფოებრიობას. მათთვის დამპყრობლის მფარველობა სათბურია.

მათ იციან, რომ თავისუფალ ერსა და საზოგადოებას სჭირდება დამოუკიდებელი ძლიერი სახელმწიფო; ხოლო ასეთი სახელმწიფოს ბუნებითი მიზანია ქვეყნის, მოსახლეობის კეთილდღეობა. მოსახლეობის კეთილდღეობა კი ძირს აცლის ხელისუფლების ანგარებით გამოყენებას და მათ პათოლოგიაში გადაზრდილ პრაგმატულ აზროვნებასა და კომფორტიზმს.

ქართველი ერისა და საქართველოს მოსახლეობის უამრავი ფორმით გენოციდის მიუხედავად, რომელსაც ახორციელებს შევარდნაძის უკანონო რეჟიმი, ქართველი ერი და საქართველო გადარჩება და აღორძინდება.

მრავალსაუკუნოვან ეროვნულ მოღვაწეობას, რომელიც ზვიად გამსახურდიამ თანამედროვე ისტორიულ პროცესებში გამოაწრთო და მძლავრ და ჩვენთვის მისაწვდომ იარაღად დაგვიტოვა, მხოლოდ გამოყენება უნდა, გამოყენებას კი სახარებისეული სისპეტაკე და გველივით სიბრძნე სჭირდება, რაც ეროვნულ მოძრაობას არასოდეს დაჰკლებია.

რუსთაველი ბრძანებს: „თქმა მართლისა სიმართლისა, ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად", და მართლაც შევარდნაძის უსამართლობით, გასახმობად განწირული მუმლდახვეული მუხა ისევ გაიხარებს იმ სიმართლით, რომელიც ერის წინამძღოლმა შექმნა სამართლებრივი, კანონიერი ხელისუფლების სახით.

ილია ჭავჭავაძე იმედით გვავსებს: „ძნელია ერის ცხოვრების მაჯისცემა ისე შეწყდეს, რომ არა მოქმედებდეს-რა ასე თუ ისე სახვალიოდ" და მართლაც არც შეწყვეტილა; იბრძვის ეროვნული მოძრაობა; მისგან წარმოქმნილი პოლიტიკური ძალა „მრგვალი მაგიდა" და მისი მემკვიდრე კანონიერი ხელისუფლება.

და არც შეწყვეტენ ბრძოლას, რამეთუ მათ კარგად ახსოვთ 1990 წლის 14 ნოემბრის საქართველოს რესპუბლიკის I სესიაზე ზვიად გამსახურდიას მოწოდება; „ეს ყოველივე დასაწყისია ახალი, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და ხანგრძლივი ომისა, რომელშიც უნდა გაიმარჯვოს ჩვენმა ერმა და რომელსაც ჰქვია თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველოს მკვდრეთით აღგინება!"

დიახ! ღირსეულად ვიბრძოლოთ ქართველი ერის ღირსეული შვილის ანდერძის შესასრულებლად!

იყავნ!

# როგორ „ჩაუშვა“ ჭაბუა ამირეჯიბმა ალეკო მელაძე

*ციხეში რომ ის რომანი მწერლებს*
*რანდით არანდია,*
*ამირეჯიბს მიეწერა გმირი*
*მუშნი ზარანდია!*
*შრომა არის ჩაქსოვილი იმ რომანში*
*სხვა და სხვათა*
*და არ ვიცით, რამდენი ჰყავს „მამა“*
*თუთამხია დათას!*

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. ვ. მჟავანაძეს მოქ. მზეჭაბუკ ირაკლის ძე ამირეჯიბის

მცხ. ქ. თბილისში, ბარნოვის ქ. №67, დაბად. 1921 წ.

13 ოქტომბერი 1960 წ.

მივიღე და ვესაუ 13.10.60 წ. ვ. მჟავანაძე

## განცხადება

1943 წლიდან 1959 წლის დასასრულამდე ვიხდიდი სასჯელს, როგორც პოლიტიკური დამნაშავე. 1959 წელს, უმაღლესი სასამართლოს მიერ გამოტანილი დადგენილების თანახმად მივიღე პოლიტიკური რეაბილიტაცია და განვთავისუფლდი.

თბილისში ჩამოსვლისთანავე ხელი მოვკიდე ლიტერატურულ მოღვაწეობას. 1960 წელს გამოვაქვეყნე მოთხრობები ჟურნალ „მნათობში“, „დროშაში“, „საბჭოთა ქალში“ და სხვ. „ლიტერატურულ გაზეთში“, გაზეთ „თბილისში“ (რეცენზია). დაიდგა ჩემი ტელე-პიესა „ველოსიპედი“ ჯერ თბილისის, ხოლო შემდეგ მოსკოვის ტელესტუდიებში. ვმუშაობ აგრეთვე თბილისის ქრონიკალურ-დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების სტუდიაში ხელშეკრულებით - სცენარისტად და ქრონიკალური ფილმების ტექსტების ავტორად. ჩავაბარე გამოცდები და ვირიცხები თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის სტუდენტად. ყოველივე ეს, ჩემგან მოითხოვს მუყაითობას, გულდასმას და ინტენსიურ შრომას, მით უმეტეს, რომ სარჩენი და მოსავლელი მყავს დედა, მამიდა, უმცროსი და და ორი შვილი.

უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემს ფაქტიურ დანაშაულში ამომწურავად ვიყავი გარკვეული ჯერ დაპატიმრებამდე, ხოლო 16 წლის პატიმრობამ, ასაკმა და ასაკისმიერმა შეგნებამ საბოლოოდ დამანახვა ცხოვრების სწორი გზა და მგონი გამორიცხულია შესაძლებლობა, რომ აწმყოსა და მომავალში შესძლოს რაიმემ ჩემი გადაცდენა ამ სწორი გზიდან. სახელმწიფომ, სოციალისტურმა კანონიერებამ აღმადგინა მოქალაქეობრივ უფლებებში, გამამართლა, მომცა შრომისა და სასარგებლო მოღვაწეობის საშუალება და ცხადია, რომ ამას მე სათანადოდ უნდა ვუპასუხო.

ჩემმა წარსულმა, თექვსმეტი წლის პატიმრობამ, გასამართლებებმა, გაქცევებმა, სხვადასხვაგვარად უარყოფით ადამიანებთან იძულებით ურთიერთობამ დამიტოვა ძლიერ არასასურველი მემკვიდრეობა. მე დღემდე იძულებული ვარ ვიყო მათი ნაცნობი, ამხანაგი, ზოგ შემთხვევაში „მეგობარიც“ კი და ხანდახან „თანამოაზრის“ როლიც ვითამაშო, მიუხედავად იმისა, რომ ჩემს წარსულს ძლიერ მყარი წერტილი დავუსვი განთავისუფლების დროს (ფაქტიურად განთავისუფლებამდე კარგა ხნით ადრე). სამწუხაროდ დღემდე შემომრჩა ეგრეთ წოდებული „ნდობა“ და გადაჭარბებული აზრი ჩემი რაღაც არარსებული ღირსებების შესახებ ჩემთან ნამყოფ თუ არნამყოფ პატიმრებს შორის. ამ მოკლე ხანში რამოდენიმეჯერ იყო შემთხვევა, როდესაც პროფესიონალური ქურდი - რეციდივისტი ისე გულთბილად მესალმება, დასალევად მეპატიჟება და სხვა, თითქოს მე მასთან ერთად სადმე დანაშაული ჩამედინოს, ანდა მისი ახლო მეგობარი ვყოფილიყავი ოდესმე. ხდება ისეც, რომ ჩემი თანამოსაუბრის ლაპარაკი დიდი ხნით ადრე გამოფიტული და გამომფუღროტყავებული იდეოლოგიის პროპაგანდის დონემდე ადის. ყოველივე ეს ჩემში პროტესტს იწვევს, მაგრამ ზემოთხსენებული არასასურველი მემკვიდრეობის გამო, იძულებული ვარ ვისმინო და კვერიც კი დავუკრა ხოლმე.

არც თქვენ და არც ვისმე სხვას არ შევაწუხებდი ამგვარი წვრილმანებით, მაგრამ მიმდინარე წლის ივლისში მოხდა ერთი ძლიერ საყურადღებო რამე, რის შესახებაც მოვალედ ვთვლი ჩემს თავს აუცილებლად მოგახსენოთ.

ყოფილმა პატიმარმა, ვინმე ალეკო მელაძემ, თბილისის ერთ-ერთი ბიბლიოთეკის მუშაკმა (ამჟამად), მაცნობა მისი და მისი ამხანაგების განზრახვა, მოახდინონ ტერორისტული აქტი საბჭოთა ხელმძღვანელის, ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვის მიმართ, როცა იგი (ალბათ) ჩამოვა საქართველოში, მომავალი წლის თებერვალში და მთხოვა აღმომეჩინა გარკვეული დახმარება.

მე ვუპასუხე, რომ დავეხმარები ან არ დავეხმარებოდი მაშინ, როდესაც გავცემ ჩემს თავს პოზიტიურ პასუხს: საერთოდ საჭიროა თუ არა ასეთი რამ, ასეთი პასუხი საჭირო იყო იმისთვის, რომ არც თანხმობა მიმეცა და არც უარი მეთქვა. რა თქმა უნდა, მე დაუყოვნებლივ ვაცნობე ამის შესახებ სახ. უშიშროების ხელმძღვანელ პირებს ამხ. ქავთარაძეს, შადურს, სანადირაძეს.

ჩემი აზრით, ზედმეტია მსჯელობა იმ მიზეზების შესახებ, რომელთა გამოც გადავდგი ეს ნაბიჯი. ეს მიმიყვანდა პათეტიკურ ფრაზებამდე. ვიტყვი მოკლედ. მე მოვიხადე ვალი, როგორც მოქალაქემ.

გვერდს ვუქცევ ამ ამბის დაწვრილებით აღწერას. მგონია, რომ ზემოთხსენებული მუშაკები მოგახსენებენ გაცილებით სრულად და ამომწურავად, ვიდრე მე შემიძლია ეს. უმორჩილესად გთხოვთ და დაჟინებით მოვითხოვ საქმის მსვლელობაში არსად არ იყვეს ნახსენები ჩემი გვარი ან ვინაობა. ჩემის აზრით ჩემი, ასეთი სურვილი, იმდენად ჩემი პიროვნების უშიშროებას არ ემსახურება, რამდენადაც ელემენტარული კეთილგონიერებითაა განპირობებული.

*მზეჭაბუკ ირაკლის ძე*
*ამირეჯიბი*



## გამოსათხოვარი

ქალბატონო დარეჯან!

გლოვობს გაზეთი „ქუჯი" თქვენს მოულოდნელ გარდაცვალებას!

თურმე რამდენი ძალისხმევა გჭირდებოდათ თქვენი ჯანმრთელობის პატრონს, ასე აქტიურად რომ გეთანამშრომლათ ჩვენთან!..

გლოვობს გაზეთი „ქუჯი" და, ალბათ, ყველა მისი მკითხველი!

ჩვენ, შენი თანამშრომლები და მეგობრები, ვგლოვობთ იმიტომაც, რომ მცირეოდენი ეკონომიკური შეძლება რომ გვქონოდა, ეგებ თქვენს ფიზიკურ ტკივილს დროულად შევშველებოდით, ტკივილს, რომელსაც განგარიდათ უფალმა...

სასაქართველოო ტკივილი კი იმქვეყნად გაგყვათ: თქვენი იმედი გამართლდება, ახლოსაა საქართველოს გამარჯვება, თქვენი იდეალების აღსრულება...

უფალს რჩეულნი უყვარს; მან გაკმარათ ამქვეყნიური ტანჯვა და თავისთან წაგიყვანათ: ჩანს, თქვენი თავგანწირული ერთგულებით უკვე აღასრულეთ საამქვეყნიო მისია და დაგასვენათ - ამ სამსხემო კედარიდან (წუთისოფლიდან) მარადიულ სავანეში გადაგიყვანათ...

ჩემო დარეჯან!

ჩვენ მაინც ამქვეყნიური წესებით გგლოვობთ, ვგლოვობთ თქვენს გარდაცვალებას!

გლოვობს „ქუჯი" დიდად პატრიოტი ქართველის გულისცემის შეწყვეტას!

*ტარიელ ფუტკარაძე*

## ზეცად ამაღლებულმა თან წაიღო ფიქრი და დარდი დაწყებული დიდი ბრძოლის დაუსრულებლობისა

მრავალტანჯულ საქართველოს, შეჭირვებულ მართალ ქართველებს ისევ დაგვიდგა უსიამო და მოუშუშებელი ტკივილებით გასახსენებელი დეკემბერი. ათი წლის განმავლობაში თავს დამტყდარ უბედურებასა და განსაცდელს მომეტებულად წელიწადის ამ თვეში შევიგრძნობთ ხოლმე. წლევანდელი ეს თვეც გამორჩეული გამოდგა და კიდევ ერთხელ მწარედ გვატკინა გული, სევდა დაგვრია, უძირო მწუხარების ცრემლი გვადინა მამულის, ერის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის გაუნელებელი მებრძოლის, მათ ბედნიერებაზე მლოცველი ერთგული მეგობრის, ქართველი ქალის უმშვენიერესი განსახიერების, ჩინებული პიროვნების - **დარეჯან მაისურაძის** ამქვეყნიდან მოულოდნელი და უდროო წასვლით.



ამაღლებული, მებრძოლი სულის, სამშობლოსა და ქართველთა თავისუფლების გულანთებული მოსურვილე, საფუძვლიანად განსწავლული ახალგაზრდა ჟურნალისტი პირველი დღეებიდანვე შეერწყა 80-იანი წლების მიწურულს აბობოქრებულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და სიცოცხლის დასრულებამდე მისთვის სამსახურსა და ბრძოლას მიიჩნევდა ცხოვრების უპირველეს მიზნად და დანიშნულებად.

არსად და არაფერს აკლდებოდა, არ იზოგავდა თავს. დარეჯანს ყველა მიტინგზე და აქციაზე ნახავდით. ებრძოდა უკანონოთა რეჟიმს, საქართველოს მოღალატეებსა და გამყიდველებს, უკანონობასა და უსამართლობას. თავდადებულ ქართველ ქალიშვილს არასოდეს გადაუხვევია სათაყვანებელი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მიერ გაკვალული გზიდან, რადგან იგი მიაჩნდა მამულისა და ერის საბოლოო ხსნის გზად. ამას ადასტურებდა პროფესიით ჟურნალისტი თავის საგაზეთო პუბლიკაციებში, მოსაწონად, დახვეწილად რომ უზიარებდა მკითხველებს საკუთარ სურვილს, თანამოსაუბრე პიროვნებებთან საუბრებში გამოთქმულ მოსაზრებებს, რჩევა-დარიგებებს.

დარეჯან მაისურაძე ერთი პირველთაგანი გაერთიანდა ეროვნული ხსნის მოძრაობა-წინაალმდეგობის ფრონტში, იგი გახდა ერთ-ერთი დამფუძნებელი ამ პოლიტიკურ ორგანიზაციაში შემავალი დამოუკიდებელ ჟურნალისტთა ლიგისა.

იბრძოდა, ამხელდა, არ ეპუებოდა იარაღით დამკვიდრებულთაგან ღვარად მოვარდნილ სიცრუესა და ტყუილს, უმსგავსო ინფორმაციულსა და დამთრგუნველ ფიზიკურ ზეწოლას. არასდროს შეშინებულა, არ ჩაჩუმებულა. ურყევად იყო დარწმუნებული და დაჯერებული კანონიერი ხელისუფლების აღდგენაში, სამშობლოსა და მართალი ქართველების გათავისუფლება-გამარჯვებაში.

იბრძოდა... და ჩაიფერფლა უცაბედად გაუტეხელი სულის სამშობლოს უერთგულესი შვილი, ახლობელ-მეგობართა მოყვარული, ნაზი და სათნო დარეჯანი. ვერ აისრულა სათაყვანებელი ივერიის გაბრწყინების ოცნება და სურვილი. ზეცად ამაღლებულმა თან წაიღო ფიქრი და დარდი დაწყებული დიდი ბრძოლის დაუსრულებლობისა. თუმცალა, დიდებულ სულს მშვენიერი ქართველი ქალისა მშვიდად შეუძლია იყოს. მიწიერი მართალი იბერიელები თავიანთ სამართლიან ბრძოლას ღირსეული გამარჯვებით დაასრულებენ - საქართველო და ქართველები წართმეულ თავისუფლებას დაიბრუნებენ.

მშვიდად და მოსვენებით იყავი ზეციურ სასუფეველში დამკვიდრებულო ჩვენო ერთგულო და სასურველო მეგობარო დარეჯან. შენი გამორჩეული კეთილშობილება, თანადგომა, მეგობრებისადმი გამოხატული სითბო და პატივისცემა მარადიულ მოგონებად დარჩება ჩვენში.

ნათელში ამყოფოს ღმერთმა შენი ამქვეყნად მოღლილი სული, იქ, ზეცად მოიპოვე შვება. იქ ილოცე მამულის, ერის თავისუფლებისათვის.

მიგაცილებთ დიდი ტკივილით, სიყვარულითა და სინანულით, ცრემლით...

**საქართველოს ეროვნული ხსნის მოძრაობა - წინააღმდეგობის ფრონტი:**
**ინტელიგენციის დარბაზი;**
**საუნივერსიტეტო საზოგადოება;**
**საქართველოს დამოუკიდებელ ჟურნალისტთა ლიგა;**
**ტექნიკური უნივერსიტეტის საზოგადოება;**
**საქართველოს დამოუკიდებელ ექიმთა ლიგა;**
**საქართველოს დამოუკიდებელ პედაგოგთა ლიგა;**
**საქართველოს დამოუკიდებელ პროფესიონალთა ლიგა;**
**საქართველოს დამოუკიდებელ სოფლის მეურნეობის მუშაკთა ლიგა;**

## ...ეს თქვენი უკანასკნელი ინტერვიუ იყო

როგორ არ მინდოდა დარეჯან მაისურაძეზე სამძიმარი დამეწერა. მით უფრო ნეკროლოგების წერა არასოდეს გამომდიოდა.

როგორ არ მინდოდა თქვენზე სამწუხარო თუნდაც ერთი სიტყვა დამეწერა, მაგრამ განგება ზოგჯერ მკაცრი და ულმობელია.

ჩვენ ძალიან ხშირად გვერდიგვერდ ვიდექით საპროტესტო აქციებზე და მიტინგებზე. გაზეთმა „ქუჯიმ" კიდევ უფრო დაგვაახლოვა. ერთმანეთს აზრებს ვუზიარებდით - კარგი იყო თუ არა ჩვენს გაზეთში ჩვენივე გამოქვეყნებული წერილები, ინტერვიუები თუ ფოტოები. ბოლოს ამა წლის 5 დეკემბერს განახეთ უზენაეს სასამართლოში, ცუდად იყავით, მაგრამ მაინც მოხვედით... მას შემდეგ მცირე დრო გავიდა და ჩვენ ერთმანეთს აღარ შევხვედრივართ, აღარც ტელეფონზე გვისაუბრია. ყველაფერი მოულოდნელად მოხდა...

თქვენი ინტერვიუ ბატონ გიორგი კერვალიშვილთან უკანასკნელი აღმოჩნდა. ჩემი და თქვენი ბოლო საგაზეთო მასალებიც გაზეთ „ქუჯიში" გვერდიგვერდ დაიბეჭდა. ბოლო თქვენს ინტერვიუს კი მე, მკითხველებთან უკანასკნელი გასაუბრება დავარქვი... უკანასკნელი თქვენი აზრები...

ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ თქვენი უდიდესი ნატვრა თავისუფალი საქართველო და ეროვნული ხელისუფლების გამარჯვება აუხდენელ ოცნებად დაგრჩათ.

კიდევ ბევრი რამ მინდოდა თქვენზე დამეწერა, მაგრამ...

როგორ არ მინდოდა თქვენზე ასეთი სახის ბარათი დამეწერა...

როგორ არ მინდოდა...

*ირაკლი შონია*

---

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და მთავრობა იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს ეროვნული ხსნის მოძრაობა - წინაალმდეგობის ფრონტის წევრი, საქართველოს დამოუკიდებელ ჟურნალისტთა ლიგის თავმჯდომარე

**დარეჯან მიხეილის ასული მაისურაძე**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდა იუწყება საქართველოს ეროვნული ხსნის მოძრაობა - წინაალმდეგობის ფრონტის წევრის, საქართველოს დამოუკიდებელ ჟურნალისტთა ლიგის თავმჯდომარის

**დარეჯან მიხეილის ასული მაისურაძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

სრულიად საქართველოს ჰელსინკის კავშირი იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს ეროვნული ხსნის მოაძრაობა - წინაალმდეგობის ფრონტის წევრი, საქართველოს დამოუკიდებელ ჟურნალისტთა ლიგის თავმჯდომარე

**დარეჯან მიხეილის ასული მაისურაძე**

და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს.

---

სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოება იუწყება საქართველოს ეროვნული ხსნის მოაძრაობა - წინაალმდეგობის ფრონტის წევრის, საქართველოს დამოუკიდებელ ჟურნალისტთა ლიგის თავმჯდომარის

**დარეჯან მიხეილის ასული მაისურაძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს.

---

საქართველოს ეროვნული ხსნის მოძრაობა - წინაალმდეგობის ფრონტი იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე ორგანიზაციის წევრი, საქართველოს დამოუკიდებელ ჟურნალისტთა ლიგის თავმჯდომარე

**დარეჯან მიხეილის ასული მაისურაძე**

და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს.

---

„ქუჯის" რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ნიჭიერი ჟურნალისტის, საუკეთესო ადამიანის **დარეჯან მაისურაძის** გარდაცვალების გამო.

გაზეთი „ქუჯი" თავის პირველივე ნომრებიდანვე თავს იწონებდა ქალბატონი დარეჯანის სიკეთითა და პატრიოტიზმით აღსავსე წერილებით... ამიერიდან ჩვენ ველარ გამოვაქვეყნებთ მის ახალ ნააზრევსა და საინტერესო ინტერვიუებს... ველარავინ შეავსებს მისი წასვლით გამოწვეულ სიცარიელეს.

საქართველომ კიდევ ერთი აქტიური მებრძოლი დაკარგა ფიზიკურად, მაგრამ მისი სული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ პატრიოტთ სამარადჟამოდ მლოცველ ანგელოზად მოევლინება...

---

**გურამ ანჯაფარიძე**

ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობის რიგებს კიდევ ერთი ღირსეული წარმომადგენელი გამოაკლდა - მთაწმინდის რაიონის ჰელსინკის კავშირის წევრი ბატონი **გურამ ანჯაფარიძე**. იგი ჭეშმარიტი მამულიშვილი, სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული კაცი იყო. არ ყოფილა არც ერთი აქცია, რომ მას აქტიური მონაწილეობა არ მიეღო. თითქმის ერთი წელი ებრძოდა ბატონი გურამი ავბედით ავადმყოფობას და ძალზედ მტკივნეულად განიცდიდა, რომ ჩვენს გვერდით ვერ იდგა. მან სიცოცხლის ბოლომდე უერთგულა სამშობლოს. ასეთი ერთგულება მხოლოდ რჩეულთა ხვედრია, ეს რწმენა შეუმსუბუქებს უმძიმეს ტკივილს მის საყვარელ ოჯახს და თანამებრძოლებს. დაე, მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის ქართული მიწა.

---

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდა, საქართველოს ჰელსინკის კავშირი, სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოება, საქართველოს ეროვნული ხსნის მოძრაობა - წინაალმდეგობის ფრონტი, საქართველოს ეროვნულ-ლიბერალური კავშირი და ეროვნული ფრონტი - რადიკალური კავშირი თანაუგრძნობენ საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდის სპიკერს, საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს, ქალბატონ მანანა არჩვაძე-გამსახურდიას დეიდის

**ნათელა (ქსენია) ნესტორის ასული სულაძე-ჩოჩიას**

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდა, საქართველოს ჰელსინკის კავშირი, სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოება, საქართველოს ეროვნული ხსნის მოძრაობა - წინაალმდეგობის ფრონტი, საქართველოს ეროვნულ-ლიბერალური კავშირი და ეროვნული ფრონტი - რადიკალური კავშირი თანაუგრძნობენ ქალბატონ ლედი არჩვაძეს დეიდის

**ნათელა (ქსენია) ნესტორის ასული სულაძე-ჩოჩიას**

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს ჰელსინკის კავშირის ქუთაისის ორგანიზაცია და გაზეთ „ქუჯის" რედაქცია თანაუგრძნობენ საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდის სპიკერს, საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს, ქალბატონ მანანა არჩვაძე-გამსახურდიას დეიდის

**ნათელა (ქსენია) ნესტორის ასული სულაძე-ჩოჩიას**

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს ჰელსინკის კავშირის ქუთაისის ორგანიზაცია და გაზეთ „ქუჯის" რედაქცია თანაუგრძნობენ ქალბატონ ლედი არჩვაძეს დეიდის

**ნათელა (ქსენია) ნესტორის ასული სულაძე-ჩოჩიას**

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს ჰელსინკის კავშირის სენაკის ორგანიზაცია სამძიმარს უცხადებს დიანა ოჩიგავას შვილის

**მამუკა შონიას**

გარდაცვალების გამო.

---

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები და გაზეთ „ქუჯის" რედაქცია თანაგრძნობას უცხადებენ მალხაზ დოგრაშვილს მამის

**ნოდარ ლევანის ძე დოგრაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

**გასწორება**

გაზეთი „ქუჯის" 30-ე ნომერში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს და მთავრობის განცხადების ტექსტში ტექნიკური მიზეზით დაშვებულია უზუსტობა. ნაცვლად: „1991 წლის 25 დეკემბრიდან - 1992 წლის 6 იანვრამდე საქართველოს დამოუკიდებლობა სცნო 28 სახელმწიფომ" უნდა იყოს „1991 წლის 27 აგვისტოდან - 1992 წლის 6 იანვრამდე საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა სცნო 28 სახელმწიფომ".

**გამომცემელი და მთავარი რედაქტორი**
**ტარიელ ფუტკარაძე**

**პასუხისმგებელი რედაქტორი**
ონისე ბანძელაძე

**რედაქციის მისამართი:**
ქუთაისი, კუპრაძის 32
☎ (8 231) 2-16-03; (8 77) 47-69-05
ელ. ფოსტა: kuji@posta.ge
გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/kugi

გაზეთი რეგისტრირებულია ქუთაისის საქალაქო სასამართლოში №12/5/ე-4818

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. გამოქვეყნებულ წერილებში წარმოდგენილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.